6

ივლისი

ხუთშაბათი,

1961 წ.

№ 93 (1729)

გამოცემის მე-17 წელი

ფასი 3 კაპ.

პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა ცენტრის კავშირისა და პროფსაბჭოთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

სპარტაკიადა შევაჯამეთ, ვემზადებით სპარტაკიადისათვის

— საქართველოს მოსწავლეთა XIII რესპუბლიკური სპარტაკიადა უკვე განვლილი ეტაპია. აქ გამოვლინდნენ გამარჯვებული გუნდები და ჩემპიონები. პირველ ჯგუფში თბილისის გუნდი 33 საჯარიმო ქულით I ადგილზე გამოვიდა, 74 ქულით მეორე ადგილი დაიკავა აჭარის კოლექტივმა, მესამე — აფხაზეთისამ (76,5), მეოთხე — ქუთაისისამ (82,5) და ბოლო, მეხუთე ადგილი წილად ხვდა სამხრეთ ოსეთის ნაკრებს (139 ქულა). მეორე ჯგუფის გუნდებს შორის I ადგილი დაიკავა გორის კოლექტივმა, მეორე — სამტრედიის, ხოლო მესამე — რუსთავის სპორტსმენებმა.

მოსწავლეთა XIII რესპუბლიკურ სპარტაკიადაში წინა წლებთან შედარებით მონაწილეთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა და შედეგებიც უკეთესი იქნა ნაჩვენები. ასე მაგალითად, მძლეოსნობაში ნაჩვენები იქნა 379 სპორტული თანრიგი (ზოგიერთმა მონაწილემ 2-3 სახეობაში შეასრულა სპორტული თანრიგი). დამყარებულ იქნა 1 საკავშირო, 1 რესპუბლიკური და 1 აჭარის რეკორდი, ორმა მოსწავლემ შეასრულა I თანრიგის ნორმატივი, 28-მ — II თანრიგი, 173-მა — III თანრიგი, 49-მ — მოზარდთა I თანრიგი და 127-მა — მოზარდთა II თანრიგი. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ სპარტაკიადაში II ჯგუფის გუნდებს შორის მძლეოსნობაში 15 გუნდმა ვერც ერთი ქულა ვერ მოაგროვა და მათს წევრებს შორის სათანრიგო ნორმატივებიც არავის შეუსრულებია.

შარშანდელთან შედარებით კარგი იყო გუნდების მომზადება სპორტულ ტანვარჯიშში. სამტრედიის წარმომადგენელი, მე-8 კლასის მოსწავლე ც. ჭკადუა კარგი მონაცემების მქონე ტანმოვარჯიშეა და მომავალში მისგან შეიძლება საუკეთესო ტანმოვარჯიშე აღიზარდოს. ვაუებს შორის აღსანიშნავია პირველთანრიგოსან მოვარჯიშეთა საუკეთესო მომზადება. გასულ წელთან შედარებით ცურვაშიც კარგი შედეგები გვაქვს. სპორტის ამ სახეობაში 4 რესპუბლიკური რეკორდი იქნა დამყარებული. ველოსპორტში საგრძნობლად აიმაღლეს კლასი ჭაბუკებმა. შარშანდელ სპარტაკიადაზე ველორბოლაში I ადგილზე გამოსული სპორტსმენის შედეგი წელს 11-მა მონაწილემ გაიმეორა. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ წელს აფხაზეთის გუნდი თავის შესაძლებლობებზე გაცილებით დაბლა გამოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ აჭარის სპორტსმენებს წელს უკეთესი შედეგები ჰქონდათ, მათგან უფრო მეტს მოველოდით. სპარტაკიადაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს კალათბურთელებმა, წყალში მხტომელებმა, მაგიდის ჩოგბურთელებმა, მოჭადრაკეებმა და სხვ.

★

საუბარი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკურ აღზრდის მეთოდური კაბინეტის გამგესთან — ამხ. გ. მერკვილაძესთან

★

სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ 14 სახეობაში დაკომპლექტებულია საავრაუდო ნაკრები გუნდები, რომლებიც რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში გაივლიან საწვრთნელ შეკრებებს. აგვისტოს დასაწყისისათვის საბოლოოდ დადგინდება ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდების შემადგენლობა და აგვისტოშივე გავემგზავრებით ბაქოში მოსწავლეთა VII საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობისათვის.

მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადაზე რესპუბლიკის სპორტსმენებმა საერთო I ადგილი დაიკავეს და სპორტის სხვადასხვა სახეობაში 12 თასი მოიპოვეს. ასევე იყო მინსკში, მოსწავლეთა საკავშირო ზონალურ სპარტაკიადაზე, სადაც ჩვენ საერთო პირველი ადგილი მოვიპოვეთ. არ გვავიწყდება ისიც, რომ 1959 წელს მოსკოვში დავუთმეთ პირველობა რსფსრ-ს, უკრაინის, მოსკოვისა და ლენინგრადის კოლექტივებს. ძალების წინასწარი გასინჯვის საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ სპორტის მთელ რიგ სახეობებში წელს ჩვენი გუნდები უკეთ არიან მომზადებული იმისათვის, რომ ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, კალათბურთში, ფეხბურთში, წყალში ხტომაში, ჩოგბურთში და დანარჩენ სახეობებშიც საპრიზო ადგილებზე გამოვიდნენ. თუმცა აქ ერთი გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ: ამ წლის სპარტაკიადაზე მომძე რესპუბლიკების გუნდები წარმოდგენილი იქნებიან თერთმეტწლიანი სკოლების ბაზაზე, ჩვენი რესპუბლიკის გუნდები კი ათწლიანი სკოლის ბაზაზე. ასაკობრივი განსხვავება დიდ უპირატესობას მისცემს ჩვენს მოწინააღმდეგეებს. უნდა ვეცადოთ, რომ ყველაფერი გავაკეთოთ, რათა მოსწავლეების წვრთნის ხარისხმა სძლიოს ასაკობრივ ფაქტორს. ბრძოლა პირველობისათვის დაძაბული იქნება!



მოსწავლეთა XIII რესპუბლიკური სპარტაკიადა რამდენიმე მაღალი შედეგით აღ ნიშნა. გ ნ ა ურ ებ ით ეს ითქმის მძლეოსნებზე. ამ შეჯიბრებაზე ნაჩვენები იქნა საკავშირო რეკორდი ბირთვის კვრაში (ჭაბუკებისათვის).

* * *

სურათებზე: 400 მ რბენაში გამარჯვებული თბილისელი მოსწავლე რ. ჩუბინიძე; მარჯვნივ — 100 მ რბენაში სპარტაკიადის ჩემპიონი მ. პაპიაშვილი (ქუთაისი). ფინიშთან.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

საბჭოთა სპორტსმენები საზღვარგარეთ

გ დ რ

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ ცინოვიცში დამთავრდა ჩოგბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ გდრ-ს, უნგრეთის, რუმინეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის უძლიერესი სპორტსმენები. შეჯიბრებაში შესანიშნავი წარმატება მოიპოვა თბილისელმა ჩოგბურთელმა ი. რიაზანოვამ. მან ერთეულთა შორის ნახევარფინალში დაამარცხა რუმინელი ი. მინი — 6:2, 6:2, ხოლო ფინალში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონი ე. იოჰანესი — 6:4, 6:4. კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა ამ ტურნირში ი. რიაზანოვამ. მოსკოველ პრეობრაჟენსკაიასთან ერთად მან წყვილთა ფინალში მოუგო გერმანელებს იოჰანესსა და ლინდერს — 6:3, 7:5.

გ ფ რ

ბად-ააჰენში მოეწყო ცხენოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება. მონაწილეთა შორის იყვნენ რომის ოლიმპიური თამაშების პრიზიორები პ. დინცეო (იტალია), დ. ბრუმი (ინგლისი), გ. ვინკლერი, ფ. ტოდემანი, ი. ნეკერმანი (ყველა გფრ-დან), გ. ფიშერი (შვეიცარია), ს. ფილატოვი (სსრ კავშირი) და სხვები. 9 დღის განმავლობაში გათამაშებულ იქნა 30 ჯილდო.

შეჯიბრებაში წარმატებით გავიდნენ ჩვენი ქვეყნის წარგზავნილები, XVII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ს. ფილატოვი პირველი იყო ცხენოსნობის უმაღლეს კლასში, ხოლო მისი თანაგუნდელი ა. ვტოროვი—დიდ „ოლიმპიურ ჯილდოზე“ შეჯიბრებაში.

ჩვენმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს ცხენოსნობის 20 სახეობაში და მოიპოვეს 25 საპრიზო ადგილი.



მინიმალური ანგარიშით

ქ. სვერდლოვსკში გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩები. 4 ივლისს თბილისის „ბურევესტნიკის“ კალათბურთელები შეხვდნენ ბაქოს თანაკლუბელებს. შეხვედრის პირველ ნახევარში უპირატესობა ქართველ სპორტსმენთა მხარეზე იყო — 41:39.

როცა თამაშის დამთავრებას 5 წუთი აკლდა, ბაქოელებმა ჯერ გაათანაბრეს ანგარიში, შემდეგ კი წინ გავიდნენ. შეხვედრა მოიგო ბაქოს „ბურევესტნიკმა“ მინიმალური ანგარიშით 74:73.

კიევის არმიელთა გუნდმა დაამარცხა ვილნიუსის „სპარტაკი“ — 62:47, რიგის ვეფმა — ალმა-ატის „ბურევესტნიკი“ — 71:59, ტარტუს „კალევმა“ სვერდლოვსკის „ტრუდი“ — 61:56.

გუშინ შეჯიბრების მონაწილეები ისვენებდნენ.

თბილისის „ბურევესტნიკი“ ფ ი ნ ა ლ შ ი

მინსკში გაიმართა „ბ“ კლასის წყალბურთელთა გუნდების საკავშირო ზონალური შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის „ბურევესტნიკის“, რსფსრ-ს, კიევის „დინამოს“ და „ვოდნიკის“, ლენინგრადის „ტრუდის“, მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტის, როსტოვის, მინსკის, კიშინიოვის, ტალინის არმიელთა გუნდები.

შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდნენ თბილისის „ბურევესტნიკის“ წყალბურთელები (მწვრთნელი რ. ჩაჩავა), რომლებმაც მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტის გუნდთან ერთად გაიყვეს პირველი-მეორე ადგილი და გავიდნენ გათამაშების ფინალში. თბილისელთაგან კარგი თამაში აჩვენეს მეკარე გ. ჩხეიძემ, რ. ჩიკვაიძემ, რ. ხუნწარიამ, ზ. ჩაჩავამ და სხვებმა.

აღსანიშნავია, რომ გასულ წელს „ა“ კლასის გუნდების ჩემპიონატში მონაწილე რსფსრ-ს გუნდი ფინალში ვერ მოხვდა.

ზ. დარბაისელი

ლიდერობენ არმიელები

კიევში ცსკა-სა და ადგილობრივი „ლოკომოტივის“ შეხვედრით დამთავრდა — 1-8-ე ადგილისათვის მებრძოლ „ა“ კლასის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე. მატჩი არმიელებმა მოიგეს — 3:0.

მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს ეს შეჯიბრება დედაქალაქის არმიელებმა, რომლებსაც ამჟამად ყველაზე ძლიერი თავდასხმა დაცვა გააჩნიათ. მათ მოიგეს შეიდივე შეხვედრა და დამსახურებულად ჩაუდგნენ სატურნირო ცხრილს სათავეში.

უძლიერესთა სამეულში არიან მოსკოვის „ბურევესტნიკისა“ და „ლოკომოტივის“ გუნდებიც. დანარჩენი ადგილები შემდეგი თანამიმდევრობითაა განაწილებული: „ბურევესტნიკი“ (ოდესა), სკა (ლენინგრადი), სკიფი (რიგა), „ლოკომოტივი“ (კიევი) და „ბურევესტნიკი“ (თბილისი).

მოდის ახალი ცვლა

საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის დასწრებულ და დაუსწრე ბელ განყოფილებათა, აგრეთვე მწვრთნელთა სკოლის საგამოცდო კომისიები (თავმჯდომარე პროფესორი ვ. კუნჭულია) თითქმის ერთი თვის განმავლობაში აწარმოებდნენ კურსდამთავრებულთა სახელმწიფო გამოცდას უმაღლესი და საშუალო განათლების სპეციალისტთა სახელის მისანიჭებლად.

მომზადების დონით წლევანდელი გამოშვება გაცილებით ძლიერია შარშანდელზე. დასწრებული განყოფილების 195 კურსდამთავრებულიდან 25 სპორტის ოსტატია, რომლებმაც ეს საპატიო წოდება ინსტიტუტში სწავლების პერიოდში მოიპოვეს.

სახელმწიფო გამოცდებზე უმაღლესი შეფასებები დაიმსახურეს სპორტის ოსტატებმა ჯ. ზანდუკელმა და ჭ. ჯორბენაძემ. წარმატებით ჩააბარეს გამოცდები სპორტის ოსტატებმა ჯ. გიორგაძემ, ბ. მეგედმა, ვ. რომანოვმა, გ. გორბაჩოვმა და სხვებმა.

დაუსწრებელი განყოფილების 96 კურსდამთავრებულიდან მრავალი უკვე წლების მანძილზე ეწევა სხვადასხვა ფიზკულტურულ საქმიანობას. მათ რიცხვში არიან ფეხბურთელი ვ. ელოშვილი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი კალათბურთში — ა. მესხი, ძველი ველოსიპედისტი გ. ესაიანი, სოხუმელი მატორი — ალპინისტი სანალის სპორტკავშირის თავმჯდომარე თ. ბეჟამვილი და სხვანი.

მაღალი სასწავლო მაჩვენებლებით ხასიათდებიან მწვრთნელთა სკოლის კურსდამთავრებულებიც, რომელთა შორის არიან „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა გუნდის მოთამაშე ე. კუჭავა, სპორტის ოსტატი ხუთჭიდში ი. მურომცევი.

8 ახალგაზრდამ ყამირ მიწებზე სამუშაოდ წასვლის სურვილი განაცხადა. ესენი არიან სპორტის ოსტატი ჭიდაობაში ა. ტუხაშვილი, პირველ თანრიგოსანი მოკრივეები რ. მუკოიანი და ს. ფაროიანი, მოფარიკავე ჯ. კანკია, ტანმოვარჯიშე რ. კრივოშეევა, კალათბურთელები და ხელბურთელები ე. დანილოვა და ლ. მაჭავარიანი, ძალოსანი ნ. კოროვი.

ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა მხარი დაუჭირეს ახალგაზრდათა თხოვნას და რწმენას გამოთქვამენ, რომ მათი აღზრდილები თავს არც რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ შეირცხვენენ.

ა. ფალავანდიშვილი,

საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორი.



სურათებზე: ზევით — თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ძალოსანი ე. პეტროსიანი, რომელმაც ორი ხელით აკრა 135 კგ და ამიერკავკასიის რკინიგზის რეკორდი დაამყარა; ქვევით — მისივე თანაგუნდელი — 43 წლის გ. სავანელი, რომელმაც 97,5 კგ აჭიმა. ეს მეორე თანრიგის შედეგია.

ფოტოები ა. ვართანოვისა.

„ლოკომოტივი“

ბევრი საჭირბოროტო საკითხი გამოავლინა ამიერკავკასიის რკინიგზის პირველმა საგზაო სპარტაკიადამ ძალოსნობაში, რომელიც ახლახან ჩატარდა. ძალოსნებმა დაამყარეს ამიერკავკასიის რკინიგზის 7 ახალი რეკორდი, მაგრამ ათმა მონაწილემ ვერ შეასრულა III თანრიგის ნორმატივი, ხოლო პირველი თანრიგის შედეგი აჩვენა მხოლოდ ხუთმა.

შეჯიბრებაზე სრულიად მოუმზადებელი ჩამოვიდა „ლოკომოტივის“ სამტრედიის რაისაბჭოს ძალოსანთა გუნდი. საკმარისია ითქვას, რომ მთელი გუნდიდან მხოლოდ ერთმა კაცმა შეძლო მესამე თანრიგის ნორმატივის ჩვენება.

წონითი კატეგორიების მიხედვით სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: ვ. ბაღდასარიანი — 215 კგ, ს. აბგარიანი — 235 კგ (ორივე ერევნის „ლოკომოტივიდან“), გ. მჭედლიძე — 285 კგ (თბილისის ორთქლმავალ - ვაგონშემკეთებელი ქარხანა), ს. ოვასანიანი — 317,5 კგ (ერევანი), გ. ნარსია — 340 კგ (თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა), ა. დილოვიანი — 315 კგ (ერევანი), ე. პეტროსიანი — 345 კგ, ვ. ერმოლაევი — 322,5 კგ (ორივე თბილისის ორთქლმავალ - ვაგონშემკეთებელი ქარხნიდან).

გუნდური პირველობა მოიპოვა თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა.

დ. კაპცოვი,

საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია

1961-1964 წლებისათვის

★ ★ ★ ★

ფარიკაობა

სათანრიგო მოთხოვნები
ვაჟები და ქალები

სპორტის ოსტატი — მონაწილეობდეს საბჭოთა კავშირის პირადი პირველობის ფინალურ შეჯიბრებაზე ფარიკაობის ერთ-ერთ სახეობაში (რაპირა, ესპადრონი, დაშნა),

ან

მონაწილეობდეს საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების დასკვნითი ტურის მეოთხედფინალში,

ან

გუნდური შეჯიბრების ფინალში, ერთ-ერთი რომელიმე იარაღის (რაპირა, ესპადრონი, დაშნა) მიხედვით მონაწილეობდეს გუნდში, რომელიც საბჭოთა კავშირის ჩემპიონია და სამივე შეხვედრაში დააგროვოს გამარჯვებათა არანაკლებ 50 პროცენტისა,

ან

არანაკლებ საქალაქო მასშტაბის გუნდური და პირადი პირველობების ფინალურ შეჯიბრებებში, წლის განმავლობაში მოიპოვოს 12 გამარჯვება ქმედით სპორტის ოსტატებზე, ერთ-ერთი საფარიკაო იარაღის (რაპირა, ესპადრონი, დაშნა) მიხედვით.

I თანრიგი — არანაკლებ საქალაქო მასშტაბის გუნდური და პირადი პირველობების ფინალურ შეჯიბრებებში, წლის განმავლობაში მოიპოვოს 15 გამარჯვება I თანრიგის სხვადასხვა სპორტსმენზე, ერთ-ერთი საფარიკაო იარაღით (რაპირა, ესპადრონი, დაშნა, ელასტიკური ხიშტი),

ან

არანაკლებ საქალაქო მასშტაბის გუნდური და პირადი პირველობების ფინალურ შეჯიბრებებში, წლის განმავლობაში მოიპოვოს 20 გამარჯვება II თანრიგის სხვადასხვა სპორტსმენზე.

II თანრიგი — გუნდური და პირადი პირველობების ფინალურ შეჯიბრებებში, წლის განმავლობაში მოიპოვოს 10 გამარჯვება (ხუთი მეორეთანრიგოსან და ხუთიც მესამეთანრიგოსან სპორტსმენზე) ერთ-ერთი საფარიკაო იარაღით (რაპირა, ესპადრონი, დაშნა, ელასტიკური ხიშტი),

ან

გუნდური და პირადი პირველობების ფინალურ შეჯიბრებებში, წლის განმავლობაში მოიპოვოს 15 გამარჯვება III თანრიგის სხვადასხვა სპორტსმენზე.

III თანრიგი — წლის განმავლობაში ერთ-ერთი საფარიკაო იარაღის (რაპირა, ესპადრონი, დაშნა, ელასტიკური ხიშტი) მიხედვით მოიპოვოს 10 გამარჯვება (ხუთი — III თანრიგის სპორტსმენზე და ხუთი — სპორტსმენ ახალბედაზე).

ჭაბუკთა I თანრიგი (17-18 წელი) — არანაკლებ საქალაქო მასშტაბის გუნდური და პირადი პირველობების ფინალურ შეჯიბრებებში, წლის განმავლობაში მოიპოვოს 8 გამარჯვება ჭაბუკთა I თანრიგის სხვადასხვა სპორტსმენზე, ერთ-ერთი რომელიმე საფარიკაო იარაღით,

ან

არანაკლებ საქალაქო მასშტაბის გუნდური და პირადი პირველობების ფინალურ შეჯიბრებებში, წლის განმავლობაში მოიპოვოს 12 გამარჯვება ჭაბუკთა მეორე თანრიგის სხვადასხვა სპორტსმენზე.

ჭაბუკთა II თანრიგი (15-16 წელი) — წლის განმავლობაში ერთ-ერთი საფარიკაო იარაღის მიხედვით მოიპოვოს 10 გამარჯვება სხვადასხვა სპორტსმენზე (ხუთი — ჭაბუკთა II თანრიგის სპორტსმენზე და ხუთი — სპორტსმენ-ახალბედაზე),

ან

წლის განმავლობაში მოიპოვოს 15 გამარჯვება სხვადასხვა უთანრიგო სპორტსმენზე.

თანრიგის დასამტკიცებლად — წლის განმავლობაში შეასრულოს თავისი თანრიგისათვის დადგენილ მოთხოვნილებათა 75 პროცენტი. სპორტის ოსტატობის დასამტკიცებლად წლის განმავლობაში მოიპოვოს არანაკლებ ორი გამარჯვებისა სპორტის ოსტატზე.

შენიშვნა: 1. უფროსი თანრიგის სპორტსმენზე მოპოვებული გამარჯვება ითვლება თავისი თანრიგის ორ სპორტსმენზე გამარჯვებად.

2. გუნდური შეჯიბრებების დროს სპორტის ოსტატებზე გამარჯვება ითვლება მხოლოდ აღნიშნულ შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდის გამორკვევამდე.

3. სპორტის ოსტატის სათანრიგო ნორმატივის შესრულების ან დამტკიცების დროს ითვლება წლის განმავლობაში არა უმეტეს ორი გამარჯვებისა ერთი და იგივე სპორტის ოსტატზე.

4. ჭაბუკთა უფროსი ასაკის სპორტსმენებს, რომლებიც შეჯიბრებებზე დაიშვებიან მოზრდილ სპორტსმენებთან ერთად, საერთო საფუძვლების შესაბამისად ენიჭებათ მოზრდილთა თანრიგები.

5. სპორტსმენს ენიჭება თანრიგი იმ შემთხვევაში, თუ იგი მოცემულ წელს მონაწილეობდა შემდეგი რაოდენობის შეჯიბრებებში: სპორტის ოსტატი—10-ჯერ, I თანრიგი — 8, II თანრიგი — 6, ჭაბუკთა და III თანრიგი 5-ჯერ.

„კოლმეურნე“

სტალინირის საჭიდაო დარბაზში დამთავრდა „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ სამხრეთ ოსეთის, აჭარის, აფხაზეთის, კასპის, ახმეტის, მახარაძის, ონის, ზესტაფონის, ლაგოდეხის, მცხეთის, წითელწყაროს, საგარეჯოსა და ზუგდიდის გუნდები. ბევრმა მონაწილემ გამოავლინა კარგი ტექნიკური მომზადება. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია საგარეჯოს გუნდის წარმომადგენლის თ. კევლიშვილისა (მჩატე წონა) და სტალინირელი ი. ბოლოთაევის (ქვემსუბუქი წონა) გამოსვლა. ამ ორმა ახალგაზრდა მზარდმა მოჭიდავემ ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო და გაიმარჯვეს თავიანთ წონითს კატეგორიებში.

დაძაბული ბრძოლის შემდეგ პირველი ადგილები მოიპოვეს ლ. ნიპარიშვილმა (კასპი), თ. კევლიშვილმა (საგარეჯო), ი. ბოლოთაევმა, ა. ქოქოებმა, გ. მარგიევმა, ე. გაბარაევმა, ა. კოჩიევმა და ს. ჩიჩოევმა (ყველა სტალინირიდან).

გუნდური პირველი ადგილი დაიკავა სტალინირის ძლიერმა კოლექტივმა, მეორე ადგილზე გამოვიდა საგარეჯოს გუნდი, ხოლო მესამეზე — აჭარისა.

დაკომპლექტდა ცენტრალური საბჭოს ნაკრები გუნდი, რომელიც კალინინგრადში მიიღებს მონაწილეობას საკავშირო შეჯიბრებაში თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის.

უ. მოსესოვი



„კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში.

სურათზე: ჭრატე წონის თ. კევლიშვილისა (ზემოდან) და ვ. კუმსიევის შეხვედრის მომენტი.

ფოტო უ. მოსესოვისა.

სპორტული ცხოვრებიდან

1961 წლის რესპუბლიკური პირად-გუნდური
კირველობა ნიჩბოსნობაში

არასახარბიელო შედეგები

ორ დღეს ელოდნენ „თბილისის ზღვის“ დაწყნარებას საქართველოს პირად-გუნდური პირველობის მონაწილენი სბაიდარო ნიჩბოსნობასა და კანოეში. დრო კარ ითმენდა, რის გამოც პირველობის ორგანიზატორები იძულებულნი გახდნენ შეჯიბრება მცხეთაში გადაეტანათ, ამასთან სათანადო ცვლილება მოეხდინათ პროგრამაში, კერძოდ, შეხვედრები არ ჩატარებულა ესტაფეტაში, ხოლო მთელი დანარჩენი პროგრამა ერთ დღეში ამოიწურა.

შვიდი გუნდი იბრძოდა გამარჯვებისათვის — გაცილებით მეტი, ვიდრე წინა წლებში და მოსალოდნელი იყო უკეთესი შედეგების ჩვენებაც, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. პროგრამის უმეტეს სახეობებში მონაწილეებმა დისტანცია დაამთავრეს II და III თანრიგის შედეგებით. ხოლო ერთ დროს ძლიერმა აჭარის გუნდმა, რომელიც მეექვსე ადგილზე გამოვიდა, წინ გაუშვა ახალბედა რუსთავის გუნდი და მხოლოდ დუშეთის ნიჩბოსნების დამარცხება შეძლო.

გუნდურ ჩათვლაში აშკარა იყო მასპინძლების — მცხეთელი ნიჩბოსნების უპირატესობა, მათ 19 ქულით გაასწრეს მეორე ადგილზე გამოსულ თბილისის კოლექტივს და 10 გაცურვაში არავის დაუთმეს ჩემპიონობა. თბილისელებმა კი ორ გაცურვაში მოიპოვეს უძლიერესის სახელი. რაც შეეხება მესამე ადგილზე გამოსულ აფხაზეთის ნიჩბოსნებს, მათ არცერთი ჩემპიონი არ ჰყავთ.

აღსანიშნავია ერთადგილიანი კანოეთი 10000 მ შეჯიბრება, სადაც გამარჯვების ძირითად კონკურენტს, თბილისელ სპორტის ოსტატს ნ. რაზმაძეს ბრძოლა ძირითადად მცხეთელ ჯ. ხოშუბაევთან უხდებოდა. ეს უკანასკნელი სტარტიდანვე გაექცა კონკურენტს და არა მარტო შეინარჩუნა რბოლის დასაწყისში მოპოვებული უპირატესობა, არამედ თანდათან გაზარდა სხვაობა და ფინიშზე სამი წუთით მიასწრო. გამარჯვებულს დრო 53.11,8 წ.

კანოისტთა სხვა შეხვედრებიდან აღსანიშნავია თბილისისა და მცხეთის ორადგილიანი ნავების შეჯიბრება. მცხეთელ ბერიძე-ხამხაძის წყვილს 10000 მეტრზე გამარჯვების არავითარი პერსპექტივა არ ჰქონდა კარგახანს და მხოლოდ ტრასის ნახევრის შემდეგ შეძლეს ერთგვარი უპირატესობის მოპოვება. მართალია, თბილისელები (ბიკოვი, გალუსტიანი) ბევრ ეცადნენ მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ ნაცნობმა ბილიკებმა გამარჯვება მცხეთელებს მოუტანეს — 51.06,0.

სამაგიეროდ ერთადგილიანი კანოეთი 1000 მეტრზე ჩემპიონის სახელი არავის დაუთმო თბილისელმა ნევსკიმ. აქ მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ვლასენკო (აჭარა) და იუჟაკოვი (აფხაზეთი).

შედეგების მიხედვით არაფერი აქვთ სატრაბახო შეჯიბრების მონაწილე ქალებს. მეორე თანრიგზე უარესი შედეგი აჩვენეს 500 მეტრზე ერთ და ორ მოსასმელიანით შეჯიბრებაში გამარჯვებულებმა მცხეთელმა ი. ფერაძემ — 2.41,6 და ფოთელების ფ. ბაიდანოვ-სლინიავჩუკის წყვილმა — 2.28,8. მეორე თანრიგის მაჩვენებელს არ გაცილებია მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე თბილისის სახელით გამოსული სპორტსმენების თიბილაშვილ-კუგაის შედეგი ორადგილიანი ბაიდარით 1000 მ შეჯიბრებაში, რომლებიც ამჟამად მცხეთის გუნდის ინტერესებს იცავდნენ(!), მართალია, ისინი ორივე შემთხვევაში პირველები იყვნენ ფინიშზე, მაგრამ საქმე იმაშია, რომ სულ რაღაც ორი კვირის განმავლობაში მათ „მოახერხეს“ ორი გუნდის ინტერესების დაცვა.

რესპუბლიკური ჩემპიონატის პარალელურად გაიმართა ჭაბუკ კანოისტთა რესპუბლიკური შეჯიბრებაც, რომელიც მიზნად ისახავდა უძლიერესთა შერჩევას საკავშირო პირველობაში მონაწილეობისათვის.

შეჯიბრებამ ცხადჰყო, რომ სპორტის ამ სახეობაში გაჩნდნენ ახალი პერსპექტიული ჯგუფები რუსთავსა და დუშეთში. სამაგიეროდ თბილისში, აჭარაში, აფხაზეთსა და ფოთში შენელდა ახალგაზრდობის ნიჩბოსნობით დაინტერესება, ქუთაისმა კი გუნდის გამოყვანაც ვერ შეძლო, რაც სერიოზულ დაფიქრებასა და ნიჩბოსნობის ფედერაციის მიერ გადამჭრელ ღონისძიებათა გატარებას საჭიროებს.

სხვა სახეობებში გაიმარჯვეს: 500 მ ერთადგილიანი ბაიდარებით მარუხაშვილმა (მცხეთა) — 2,21,8; ორადგილიანით — ფეოდოროვმა და მუსატოვმა (აჭარა) — 2.13,2; ერთადგილიანი ბაიდარით 1000 მეტრზე — ხუბერაშვილმა (მცხეთა) — 4.24,6; ოთხადგილიანით — ციცქიშვილმა, [illegible] (ფოთი) — [illegible]; [illegible] ბაიდარებით — [illegible] (მცხეთა) — 47,13,6; ორადგილიანით — ბაიდანოვმა და ტროფიმეევკომ (ფოთი) — 43,28.0; ოთხადგილიანით — გირდამ, ჭონელიძემ, ბერიკაშვილმა, შეპჩოვმა (მცხეთა)—39.56,1; 1000 მ ორადგილიანი კანოეთი — მარტოლეკმა და გრიგალაშვილმა (მცხეთა) — 4.38,6; ქალთა შორის 4-ადგილიანი ბაიდარებით — ვასილკოვამ, რევიამ, ხობოტევამ და კოზლოვამ (მცხეთა) — 2.30,2.

ჭაბუკებში ერთადგილიანი კანოეთი 1000 მეტრზე — ბაქანიძემ (თბილისი) — 6.07,6; ორადგილიანით — ხუბაშვილმა და გოცირიძემ (მცხეთა) — 5.58,0. ორიანით 5000 მეტრზე — მარტოლეკმა და გრიგალაშვილმა — 28 წუთი.

გ. მამულაშვილი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.



დონსაფის რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული მოტოციკლეტებით საიპოდრომო რბოლაში 500 კუბ. სანტიმეტრის მანქანებით უძლიერესის სახელი მოიპოვა თბილისელმა გ. კულუმბეგაშვილმა.

ხურათზე: გ. კულუმბეგაშვილი დისტანციაზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 5 ივლისისათვის

I ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ფიზკ. ინსტ. თბილისი	14	9	3	2	33:16	21
„სიხარული“ მახარაძე	13	9	2	2	41:18	20
„მეშახტე“ ტყიბული	14	8	4	2	38:15	20
„იმერეთი“ ქუთაისი	14	6	6	2	28:16	18
„განთიადი“ ბათუმი	14	7	4	3	24:19	18
სკა თბილისი	14	6	4	4	26:17	16
„შუქურა“ ქობულეთი	14	6	4	4	29:22	16
„ბახმარო“ ჩოხატაური	13	5	3	5	21:33	13
„მაღაროელი“ ჭიათურა	13	5	2	6	21:23	12
„კოლხიდა“ ხობი	14	2	6	6	21:23	10
„მექანიზატორი“ ადიგენი	14	3	3	8	20:32	9
„კოლმეურნე“ თელავი	14	2	5	7	27:44	9
„სალხინო“ გეგეჭკორი	14	3	2	9	19:43	8
„დინამო“ სოხუმი	13	0	2	11	10:36	2

II ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„გურია“ ლანჩხუთი	14	12	0	2	39:20	24
„ფეიქარი“ წულუკიძე	14	7	3	4	26:27	17
„მეხეთი“ ახალციხე	13	6	4	3	32:17	16
„სპარტაკი“ სტალინირი	14	7	2	5	18:20	16
„განთიადი“ ცხაკაია	14	7	2	5	24:28	4 16
„ლოკომოტივი“ სამტრედია	14	6	3	5	27:22	15
„მეზღვაური“ ფოთი	13	5	4	4	15:9	14
„ოდიში“ ზუგდიდი	14	6	2	6	23:23	14
„მშენებელი“ ქუთაისი	14	5	4	5	19:23	14
„დილა“ გორი	14	5	2	7	21:18	12
„სპარტაკი“ თბილისი	14	4	4	6	14:18	12
„დურუჯი“ ყვარელი	14	4	3	7	20:29	11
„სპარტაკი“ რუსთავი	14	1	5	8	15:29	7
„ისანი“ თბილისი	14	2	2	10	21:33	6



ბათუმში წვრთნას გადიან ჩვენი ქვეყნის წყალბურთელთა პირველი და მეორე ნაკრები გუნდები. ზემო სურათზე თქვენ ხედავთ პირველი ნაკრები გუნდის კაპიტანს პ. მშვენიერაძეს იერიშის დროს; ქვევით — გ. ჩიქვანაია ცდილობს „ჩაშალოს“ მეტოქის მიერ წამოწყებული კომბინაცია.

ფოტო პ. კებაბჩიანისა.

გათამაშების XIV ტური

შედგა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

დაძაბულად მიმდინარეობდა შეხვედრა ადიგენში ადგილობრივ „მექანიზატორსა“ და ქობულეთის „შუქურას“ შორის. მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2. აღსანიშნავია, რომ ყველა ბურთი გაიტანეს ორივე გუნდის ცენტრალურმა თავდამსხმელებმა: ანდღულაძემ (ქობულეთი) და რუხაძემ (ადიგენი).

I ჯგუფის ლიდერი გახდა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი. განვლილ ტურში მათ ანგარიშით 4:2 დაამარცხეს გეგეჭკორის „სალხინო“ და სათავეში ჩაუდგა გათამაშებას.

მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ტყიბულის „მეშახტეს“ ხობელმა ფეხბურთელებმა. პირველი ტაიმი დამთავრდა ფრედ — 2:2. მეორე ნახევარში ტყიბულელებმა ძალების სრული დაძაბვით ითამაშეს და მიიღწიეს გამარჯვებას ანგარიშით 4:3.

თელავის „კოლმეურნისა“ და თბილისის არმიელთა გუნდის შეხვედრაში, რომელიც თელავში მიმდინარეობდა, აშკარა იყო თბილისელთა უპირატესობა, რომლებმაც დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 5:1.

ქუთაისში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „იმერეთი“ და ბათუმის „განთიადი“, თამაშის პირველი ნახევარი თანაბარ ბრძოლაში ჩატარდა და დამთავრდა ფრედ — 1:1. შესვენების შემდეგ ქუთაისელებმა საგრძნობლად გააძლიერეს თამაში და 3 ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში. ანგარიშით 4:1 გაიმარჯვა „იმერეთმა“.

მეტად საინტერესო მატჩი შედგა ყვარელში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დურუჯი“ და ცხაკაიას „განთიადი“. პირველი ტაიმის შემდეგ, როცა ანგარიში იყო 2:0 „განთიადის“ სასარგებლოდ, სტუმართა გამარჯვება თითქოს ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ მასპინძლებმა შესანიშნავად ჩაატარეს დარჩენილი 45 წუთი, 3 ბურთი გაიტანეს „განთიადის“ კარში და მოიპოვეს დამსახურებული გამარჯვება — 3:2.

კარგად ითამაშეს გორის „დილას“ ფეხბურთელებმა საკუთარ მინდორზე რუსთავის „სპარტაკის“ წინააღმდეგ და მოიპოვეს გამარჯვება ანგარიშით 3:1.

მასპინძელთა სრული უპირატესობით აღინიშნა მატჩი ფოთში ადგილობრივ „მეზღვაურსა“ და თბილისის „სპარტაკს“ შორის. ფოთელები თამაშობდნენ მონდომებით, კოლექტიურად და გამარჯვებაც მათ დარჩათ — 3:0.

საინტერესო გამოდგა მატჩი სტალინირში, სადაც თამაშობდნენ ადგილობრივი „სპარტაკი“ და ახალციხის „მეხეთი“. მოწინააღმდეგეთა ძალები თანაბარი აღმოჩნდა — 1:1.

ასეთივე ანგარიში იქნა ფიქსირებული წულუკიძეში, სადაც თამაშობდნენ ადგილობრივი „ფეიქარი“ და ზუგდიდის „ოდიში“. ანგარიში გახსნეს სტუმრებმა, მაგრამ მათ ვერ შეძლეს ამ უპირატესობის შენარჩუნება და „ფეიქარმა“ გაქვითა გოლი.

სამტრედიის „ლოკომოტივისა“ და ლანჩხუთის „გურიის“ შეხვედრის პირველი ნახევარი დამთავრდა ანგარიშით 2:0 სამტრედიელთა სასარგებლოდ, რომლებიც ამ დღეს საუკეთესოდ თამაშობდნენ, მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა ყურადღების მცირეოდენი შენელება და ლანჩხუთელებმა მეორე ტაიმში ორივე ბურთი გაათანაბრეს. შეხვედრის დამთავრებას აკლდა ათიოდე წუთი, როცა სამტრედიელებმა კვლავ გამოაცოცხლეს თამაში და ამ მცირე დროის განმავლობაში კიდევ 2 ბურთი გაიტანეს და დაამარცხეს ლიდერი ანგარიშით 4:2.

მორიგი მატჩი წაგო თბილისის „ისანმა“, რომელიც ქუთაისში შეხვდა ადგილობრივ „მშენებელს“. მატჩის ანგარიშია 2:1 ქუთაისელთა სასარგებლოდ.

ლ ე ლ ო

მე-3 ბ3. № 93 (1729)



სოხუმში ჩატარდა აფხაზეთის პირველობა წყალქვეშა სპორტში, გამარჯვებულები გამოვიდნენ სოხუმის საზღვაო კლუბის სპორტსმენები.

• • •

სურათებზე: ზევით — ყვინთვაში გამარჯვებული ე. დალენკო. ქვევით — აფხაზეთის ჩემპიონი წყალქვეშა სპორტში ა. სანგულია.

ფოტო ვ. სემიონოვისა.



„სანტოსმა“ მოაკადოვა მაუურებლები!

ფეხბურთის ქალაქ ქვეყნებში

ასეთი სათაურით ათავსებენ სპორტული გაზეთები თავიანთი მიმომხილველების შენიშვნებს ბრაზილიის გუნდის „სანტოსის“ გასტროლების შესახებ. ამ გუნდმა დასავლეთ ევროპაში წააგო პირველივე საგასტროლო მატჩი, მაგრამ ეს მისი უკანასკნელი მარცხი აღმოჩნდა ხანგრძლივი ტურნეს განმავლობაში.

„სანტოსმა“, როგორც ცნობილია, მოიგო პარიზის „რესინგის“ ტრადიციული ტურნირი, სადაც ფინალში სძლია ევროპის ქვეყნების ჩემპიონობის თასის წლევანდელ მფლობელს „ბენფიკას“ (6:3). კიდევ უფრო საინტერესო აღმოჩნდა მისი მონაწილეობა საერთაშორისო ტურნირში „იტალია, 1961 წელი“. პირველივე ტურში „სანტოსს“ ეთამაშებოდა იტალიის ჩემპიონი „იუვენტუსი“. ამ გუნდის დაცვა თითქმის მთლიანად შედის იტალიის ნაკრებში, ხოლო თავდასხმაში თამაშობენ გამოჩენილი ფორვარდები ჯონ ჩარლზი, სივორი, ნიკოლე, მორა. შეხვედრას დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს იტალიის ნაკრების ახალი ხელმძღვანელი ფერარიც. „სანტოსმა“ მატჩი მოიგო ანგარიშით — 2:0, შემდეგ ფინალში მოუგო მილანის „ინტერნაციონალესაც“ (4:1) და პირველი ადგილი დაიკავა.

ამჟამად „სანტოსი“ გასტროლებზეა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. აქ ისინი შეხვდნენ „ქარლსრუერ შპორტკლუბს“, რომელიც რესპუბლიკაში ერთ-ერთი უძლიერესია. მატჩი უცნაური შედეგით დასრულდა. როგორც მოსალოდნელი იყო, გერმანელმა მცველებმა ვერაფერი გააწყეს ბრაზილიის თავდასხმასთან, რომელმაც 8 გოლი გაიტანა. ბრწყინვალედ თამაშობდნენ გარემარბები დორვალი (№ 7), პეპე (№ 11), განსაკუთრებით კი ცნობილი „დუეტი“ კუტინიო (№ 9) — პელე (№ 10). სამაგიეროდ მეტად თამამად და უყურადღებოდ მოთამაშე ბრაზილიელთა მცველებმა და მეკარე ლაერციომ, რომელიც ჟილმარის მემკვიდრედ მიაჩნიათ ეროვნულ ნაკრებში, გაუშვეს 6 (!) ბურთი. ამგვარად, მატჩი დამთავრდა მეტად უჩვეულო ანგარიშით 8:6 „სანტოსის“ სასარგებლოდ.

„სანტოსის“ გასტროლები ესპანეთში დასრულდება. აქ ბრაზილიელები უნდა შეხვდნენ ესპანეთის ჩემპიონს „რეალსაც“, რომელთაც ძველი ანგარიშები აქვთ. საყურადღებოა, რომ „სანტოსის“ შეხვედრა შარშან მადრიდის „სანტიაგოს“ სტადიონზე „რეალთან“ დამთავრდა ბრაზილიელთა დამარცხებით — 3:5.

მოცურავეები უტეევენ რეკორდებს

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოცურავეებმა როსტოკის საოლქო ჩემპიონატზე ორი მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს. 18 წლის ბ. ჰებელმა დაამყარა მსოფლიო რეკორდი 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში, მან დისტანცია გაცურა 1.18,2-ში, რაც 0,8 წამით აღემატება წინანდელ რეკორდს.

ფ. ვიგოლიმ 200 მეტრი თავისუფალი სტილით გაცურა 2 წუთსა და 04,8 წამში და დაამყარა ევროპის ახალი რეკორდი.

ოცვირკი გრუნდეგა ავსტრიაში

იტალიის პირველი ლიგის კლუბმა „სამპდორიამ“ (გენუა), რომელიც გაცხოველებით ემზადება მომავალი სეზონისათვის, იუგოსლავიის კლუბ „ვოივოდინასაგან“ (ნოვი სადი) იყიდა ცნობილი ნახევარმცველი ბოჟკოვი და თავდამსხმელი ვესელინოვიჩი. ორივე ფეხბურთელს არაერთგზის უთამაშია იუგოსლავიის ნაკრებში. ამჟამად, „სამპდორიას“ ორი იუგოსლაველის გარდა ჰყავს შვედი გარემარბი სკოგლუნდი და რამდენიმე წლის წინათ მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერეს ნახევარმცველად ცნობილი ავსტრიელი ოცვირკი.

იტალიაში არსებობს წესი, რომლის ძალითაც გუნდს შეიძლება ჰყავდეს მხოლოდ სამი უცხოელი მოთამაშე. ბევრი კლუბი ამ წესს მოხერხებულად უვლის გვერდს იმით, რომ იტალიის მოქალაქეობას აღებინებს სამხრეთ ამერიკელებს, რომელთა წინაპრებიც ოდესღაც იტალიიდან წასულან. ამ მუხლის მიყენება იუგოსლაველებისათვის, აგრეთვე სკოგლუნდისა და ოცვირკისათვის სრულიად მოუხერხებელი აღმოჩნდა, ამიტომ „სამპდორია“ გასაჭირში აღმოჩნდა, იგი ერთ-ერთ უცხოელს უნდა შელეოდა.

ასეთი „უხერხული მდგომარეობიდან“ იტალიელები გამოიყვანა ოცვირკის ძველმა კლუბმა „აუსტრიამ“, რომელიც წელს ქვეყნის ჩემპიონი გახდა. „აუსტრიამ“ გადაწყვიტა უკანვე იყიდოს ერთ დროს თავისი უძლიერესი მოთამაშე.

დამთავრდა ესპანეთის თასის გათამაშება ფეხბურთში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მადრიდის გუნდები თასის შარშანდელი მფლობელი „ატლეტიკო“ და ესპანეთის ჩემპიონი „რეალი“.

თასის მფლობელმა „ატლეტიკომ“ ანგარიშით 3:2 დაამარცხა ჩემპიონი და შეინარჩუნა პრიზი.

• • •

არგენტინის ფეხბურთელებმა დაამთავრეს თავიანთი ტურნე ევროპაში. უკანასკნელი მატჩი მათ ჰქონდათ მილანში, სადაც ისინი შეხვდნენ იტალიის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს „ინტერნაციონალეს“.

ანგარიში გახსნეს არგენტინელებმა, მაგრამ „ინტერნაციონალემ“ შეძლო საპასუხო ბურთის გატანა და მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. აღსანიშნავია, რომ ეს გოლი გატანილ იქნა ინგლისელი ფეხბურთელის ჰიტჩენსის მიერ, რომელიც მილანელებმა შეიძინეს „ასტონ ვილასაგან“.

რედაქტორი ი. უგულავა.

რ. ჯონსონმა დაკარგა რეკორდი

ტენესის შტატის ქალაქ მემფისში (აშშ) გაიმართა ამერიკელ ათჭიდელთა შეჯიბრება, რომელიც ყველასათვის მოულოდნელი შედეგით დამთავრდა: ნაკლებად ცნობილმა სპორტსმენმა 26 ქულით გააუმჯობესა რ. ჯონსონის მსოფლიო რეკორდი.

ფ. მალკეის გასული წლის საუკეთესო მაჩვენებელი ათჭიდში არ გასცილებია 7.652 ქულას, ამ შეჯიბრებაზე მან ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და აჩვენა 8.709 ქულა. ზოგიერთნი ეჭვს გამოსთქვამენ ამ მაჩვენებლის მიმართ და ფიქრობენ, რომ მალკეის მაჩვენებელი ზოგიერთი ფორმალური მიზეზის გამო არ დამტკიცდება მსოფლიო რეკორდად. ფ. მალკეის მაჩვენებლებია: 100 მ რბენაში—10,7; სიგრძეზე ხტომაში—7,34 მ; ბირთვის კვრაში—15,32 მ; სიმაღლეზე ხტომაში—1,99 მ; 400 მ რბენაში—51,0, 110 მ თარჯრბენში—14,6 წ, ბადრის ტყორცნაში — 47,03 მ, ჭოკით ხტომაში—4.39 მ, შუბის ტყორცნაში—67,45 მ და 1500 მ რბენაში—4.43,8.

8—14 ივლისი

ფიზკულტურელის სახლის საზაფხულო აუზი

საქართველოს პირველობა წყალბურთში

დასაწყისი 18 საათზე.

ᲬᲧᲐᲚᲥᲕᲔᲨᲘ ᲪᲣᲠᲕᲐᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

ᲡᲐᲓ ᲩᲐᲬᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲔᲑᲘ

9—12 ივლისი

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ — სტს-ის სპორტული მოედანი (9, 10, 11).
ᲙᲠᲘᲕᲘ — კიროვის პარკი, (9, 10, 11).
ᲕᲘᲓᲐᲝᲑᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ — ლენინის სახ. სპორტული დარბაზი. (9, 10, 11).
ᲕᲘᲓᲐᲝᲑᲐ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ—ლენინის სახ. სპორტული დარბაზი (9, 10, 11).
ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲕᲘᲓᲐᲝᲑᲐ — ორჯონიკიძის სახ. კულტურისა და დასვენების პარკი (9, 10, 11).
ᲕᲔᲚᲝ-ᲡᲞᲝᲠᲢᲘ — საქართველოს სამხედრო გზა (30 კმ.) (9, 10, 12).
ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲘ — „განთიადის“ სპორტ. მოედნები (9, 10, 11).
ᲢᲐᲜᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ — (სპორტ.) განათლების სამინისტროს ტანვარჯიშის ცენტრალური დარბაზი (9, 10, 11, 12).
ᲜᲘᲩᲑᲝᲡᲜᲝᲑᲐ ᲑᲐᲘᲓᲐᲠᲔᲑᲖᲔ ᲓᲐ ᲙᲐᲜᲝᲔ — მცხეთა (9, 10, 11).
ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲜᲝᲑᲐ — „ბურევესტნიკის“ სტადიონი (9, 10, 11, 12).
ᲪᲣᲠᲕᲐ — „განთიადის“ საცურაო აუზი (9, 10, 11).
ᲬᲧᲐᲚᲨᲘ ᲮᲢᲝᲛᲐ — ფიზკულტურის პარკის აუზი (9, 10, 11).
ᲫᲐᲚᲝᲡᲜᲝᲑᲐ — „განთიადის“ სპორტ. დარბაზი (9, 10, 11).
ᲤᲐᲠᲘᲙᲐᲝᲑᲐ — „ბურევესტნიკის“ სპორტ. დარბაზი (9, 10, 11).

ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲘᲡ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ 8 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ „ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘᲡ“ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲖᲔ 17 ს. 30 წ.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲓᲘᲠᲘᲡ 11 ს. ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ 18 ს.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დადმართი № 12, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლენინი“ ტელეფონები: რედაქტორის — 8-89-62. პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 8-90-34, გამომშვების — 8-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05591